# ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 შაბათი, 21 აპრილი № 1442

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: [ჩვე]ულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

[ხე]ლის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში [ვაკ]ის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგო-ბის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"—„Моамбе". ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა


## სახალხო სეირნობა
### საქველ-მოქმედო ბაზრითურთ.

[ქა]რთველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" მიერ განზრახული [სახა]ლხო სეირნობა საქველ-მოქმედო ბაზრითურთ გაიმართება 6 მაისს. შემოწირულებათა [გა]მოგზავნა ამ ბაზრისთვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნი-[კ]ოლოზის ქუჩა, № 21, და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზო-[გად]ოების" კანცელარიაში, სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურთა ქარვასლაში.

ქართული დრამატიული დასი

ვ. ალექსი-მესხიშვილის და ვ. გუნიას მონაწილეობით
გამართავს ქართულ წარმოდგენებს
აპრილის დამლევიდან შემდეგ ადგილებში:
[ქ]უთაისში, ზესტაფონში, ხონში, ჭიათურაში, ყვირილაში, სამტრედიაში, ახალსენაკში, ზუგდიდში და სხვა დაბა-სოფლებში და ქალაქებში.
წარმოდგენილ იქნებიან:
„ბედს ვერ წაუხვალ", „და-ძმა", „სამშობლო", „ორი გმირი", „უბედური ნაბიჯი" და სხვა პიესები.

წარმოდგენებში მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ნ. ჩხეიძე, ე. გვეტაძე, მ. მდივანი, ა. გარელი; ბ. ალექსი-მესხიშვილი, ვ გუნია, ა. იმედაშვილი, ვ ურუშაძე, ა. წუწუნავა, გ. ჩარკვიანი, ბ. ბეგლარიძე და სხვ.

[და]სს თან ექნება საკუთარი ახლად დახატული დეკორაციები, ტანისამოსები და სხვა მოწყობილება [სც]ენისა. (4—2)

კავკასიის სასოფლო-მეურნეობისა და მრეწველობის გამოფენა 1901 წელს.

[გა]მოფენა გაიხსნება ტფილისში 20 აგვისტოს და შესდგება შემდეგ განყოფილებათაგან:

მიწად-მოქმედება; მევენახეობა და მეღვინეობა; საბაღე და საბოსტნე თესლეულობა, სანერ-[გ]ები და ნერგები; დეკორატიული ბაღოსნობა; ხეხილის მოშენება და მებოსტნეობა; ტყის მოვ-[ლა]-მოშენება; შინაური ფრინველი; მერძევეობა და საქონლის მოვლა-მოშენება; მეაბრეშუმეობა და [მე]ფუტკრეობა; მეთევზეობა და მონადირეობა; სასოფლო-სამეურნეო იარაღი და მანქანები; შინა და [ხ]ელოსნო მრეწველობა; საქარხნო მრეწველობა; სამთო მრეწველობა; საშენ-სამგზავრო-საპროფესიო-[ნა]ლი განყოფილება; სამეცნიერო-სასტატისტიკო განყოფილება; სამეცნიერო-სამოსწავლო განყო-[ფი]ლება; სამხატვრო განყოფილება.

გამოფენის ბიურო და კომისარიატის კანცელარია იმყოფებიან კავკასიის სასოფლო [სა]მეურნეო საზოგადოების სადგომში, ბარიათინსკის ქუჩაზე, და გახსნილია ყოველ დღე, [უქ]მეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3-მდე.

პირისპირ მოსალაპარაკებლად გამოფენის კომისარი მიიღებს მსურველთ შუადღის [პირვე]ლ საათიდან 2-მდე კომისარიატის კანცელარიის სადგომში. (ნ. 10—4)

## ტფილისის კერძო სამკურნალო
### მკურნალის ბედევანიშვილისა.

[მიი]ღებს ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა,

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე — კბილის სნეულებანი 8 — [9] საათამდე.

მიხეილ ა. ბედევანიშვილი — ნერვებისა და [კურნ]ობა ელექტრონით — 9 — 10 ს.

[ა]ნ. ა მულინი — ყურისა, ყელისა და ცხვირი[სა] — 11 — 12 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი — კბილის სნეულებანი — 10 — 12 საათამდე.

ა. ნ. შატილოვი — თვალისა 11 — 12 ს.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვებისა 11 — 12 ს.

დ. ა. ბედევანიშვილი — ნერვებისა და შინაგანი — 12 — 1 საათამდე.

ვ. დ. მარკევიჩი — სალოსტაქრო — $12^1/_2$ [—1] $^1/_2$ საათამდე, სამშაბათობით 3 — 4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი — სიფილისისა, კანისა და საშარდესი — $1^1/_2$ — 2 საათამდე.

მ. ბ. ბეზირგანოვი — შინაგანი და ბავშვებისა [1] — 2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი — დედათა სნეულებანი — 5 — 6 საათამდე.

ა. ა. ბელოგოლოვი. — შინაგანი (სტომაქის [ავ]ადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლე[ვ]ანი. — 5 — 6 საათზე.

გ მაღალაშვილი — კვირაობით — 10 — 12 ს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ.; ოპერაციები — მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ). ტელეფონი № 274. (წლ.)

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისაგან.

წიგნების გამომცემელი ქართველთა ამხანაგობის

საზოგადო კრება

დანიშნულია დღეს, 21 აპრილს, საღამოს 8 საათზე, ნაცვლად კრებისა, რომელიც არ შესდგა თანხმად ამხანაგობის პირობის მე 18 მუხლისა.

განვიზრახეთ ბეჭდვა წიგნაკებისა, რომლებიც სივრცით არ იქნება სამ თაბახზე მეტი და ამიტომ ვთხოვთ პატივცემულ ავტორთ მოგვაწოდონ ყოველნაირი ნაწარმოებნი, როგორც ორიგინალური, აგრეთვე ნათარგმნი. ავტორთ ჰონორარი მიეცემათ. ადრესი: Квирилы, Тифографія М. Гачечиладзе. (ნ. 5—4)


## მთავრობის განკარგულებანი

სამოქალაქო უწყება:

ჩერნიგოვის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი ს ა ნ ე ბ ლ ი ძ ე გადმოყვანილ იქმნა სენაკის სასულიერო სასწავლებლის გეოგრაფისა და არითმეტიკის მასწავლებლად.

## დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

19 აპრილი.

**ტიუმენი.** აჩინსკიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ იქ ქარიშხალი და თოვლბუქია; სიცივე 13 გრადუსამდე ადის; სამარხილო გზაა.

**ჰონკონგი.** კანტონის ვიცე-კოროლის და თათრის გენერლის მიერ ხელმოწერილი პროკლამაცია სპობს ყველა უპირატესობათ, რომლითაც სარგებლობდნენ მანჯურელები ჩინელებთან შედარებით.

**ლონდონი.** ბროდრიკმა წარმოსთქვა გილდფორდში სიტყვა, რომელშიაც საჭიროდ აღიარა ომიანობის დაუყოვნებლივი შეწყვეტა. შემდეგ ორატორმა ილაპარაკა ნახშირზე ბაჟის დადების წინააღმდეგობაზე და სთქვა: „თუ ჰფიქრობენ, რომ ამგვარი წინააღმდეგობა რაიმე გავლენას იქონიებს მთავრობაზე, რომელიც იძულებული იქნება დაუთმოს მოწინააღმდეგეთ, ეს მოასწავებდა მთავრობის მიერ ძალის დაკარგვას. სანამ მთავრობას არ უჩვენებენ უკეთეს საშუალებათ, მანამდის ის უარს არ ჰყოფს თავის აზრს სამხედრო ორგანიზაციის შესახებ"

**რიო-ჟანეირო.** ეპისტოლე, რომელსაც ბრაზილიის რესპუბლიკის პრეზიდენტი წაიკითხავს ხვალ, კონგრესსის გახსნის დროს, ამბობს, რომ ბრაზილიისა და სხვა სახელმწიფოთა შორის კარგი განწყობილება არსებობს და ქვეყანაში სრული მშვიდობიანობა ჰსუფევსო. შემდეგ აღნიშნულია საშუალებანი ფინანსების გაუმჯობესობისათვის.

**პეკინი.** გარდა იმ გარნიზონებისა, რომელნიც, გენერლების აზრით, ტიანძინში და შანჰაი-გუანში უნდა იყვნენ დაყენებულნი, მათი წინადადებაა, რომ გერმანიამ, ინგლისმა, საფრანგეთმა და იაპონიამ იყოლიონ იქვე თითოეულმა 1400 კაცი და იტალიამ—400; შანჰაიგუანის ოლქში—რუსეთმა, საფრანგეთმა, გერმანიამ და ინგლისმა იყოლიონ სამას-სამასი კაცი, ხოლო იტალიამ—ერთი როტა; შემდეგ, გენერლების განზრახვით, სანამ პეკინში დარჩებიან უცხოელთა ჯარები, მანამდის პეიხოზე სამხედრო გემებიც უნდა იყვნენო; რადგანაც ტაკუში საერთაშორისო ფლოტი სდგას, საჭიროა ტაუსთან მუდმივი მიმოსვლელი გზა იქონიონ. გენერლები რჩევას იძლევიან აგრეთვე, რომ სამოქალაქო მმართველობა დაუქვემდებარონ სამხედრო უწყებას. როდესაც ტიანძინის გარნიზონი შემცირდება 2000 კაცამდე, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ ჩინეთის მმართველობის აღდგენის შესახებაც.

სასურველად იქმნა ცნობილი, რომ საერთაშორისო ჯარები დაუმორჩილონ საერთო განკარგულებას, რომელმაც საელჩოების სადარაჯო რაზმებიც უნდა განაგოს. რაც შეეხება უცხოელ ჯარების დაუყოვნებლივ ჩინეთიდან გაყვანის საქმეს,—გერმანიის, ინგლისის და იაპონიის ჯარების უფროსები იმ აზრისა არიან, რომ იმის განხორციელება არ შეიძლება იმ დრომდე, სანამ ჩინეთი უზრუნველ არ ჰყოფს ზარალის საზღაურს; ფრანგები იმ აზრისა იყვნენ, რომ ორის კვირის განმავლობაში ჩინეთიდან წაიყვანონ 9000 კაცი უცხოელების ჯარებისა და დანარჩენებიც ექვსი კვირის განმავლობაში; ჰავის შესაფერად ისინი ურჩევდნენ ჩინეთში სადარაჯო რაზმებისათვის მხოლოდ საახალშენო ჯარების დატოვებას; იტალიელებსა და ავსტრიელთ ჯერ არ მიუღიათ თავიანთ მთავრობათაგან არავითარი ინსტრუქცია ამ საკითხის შესახებ; ამერიკელებმა თავიანთი აზრი არ გამოსთქვეს ამ საქმის შესახებ; რუსების წარმომადგენელი კი სრულიად არ დაესწრო გენერლების კრებას.

**ბერლინი.** დღეს საიმპერიო კანცლერის სასახლეში, ბიულოვის თავმჯდომარეობით, მოხდა საიდუმლო ბჭობა პრუსიის მინისტრებისა. ხვალ დანიშნულია პრუსიის ორთავე პალატის საერთო სხდომა.

**ბერლინი.** ხვალ შეწყდება, ალბათ, პრუსიის სეიმის სხდომები, რადგანაც მთავრობა დარწმუნდა, რომ არხის გაყვანის შესახებ შემდგარი კომისია აპირებს საქმის გაჭიანურებას.

**პეტერბურგი.** 19 აპრილს დაიწყო სატარიფო კრების მუშაობა, რომელიც მოწვეულ იქმნა ფინანსთა მინისტრის ნება-რთვით.

20 აპრილი

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

**განჯა.** გუშინ აქ ქალაქის თავად არჩეულ იქმნა კოგნოვიცკი, ხოლო გამგეობის წევრად ისრაფილ ბეკოვი.

**პეტერბურგი.** 19 აპრილს დასრულდა მუშაობა ბეჭდით სიტყვის უმთავრესს მმართველობასთან არსებულმა კომისიამ, რომელსაც უნდა გადაესინჯა „გუბერნიის უწყებათა" პროგრამმა. „უწყებათა" რედაქტორი მოხელეები ამ დღეებში წავლენ თავიანთ მოვალეობათა აღსასრულებლად. „უწყებათა" პროგრამმა გაფართოვებულ იქმნება.

**ბერლინი.** პრუსიის სეიმის ორისავე პალატის შეერთებული სხდომა შესდგება ხვალ, ნაშუადღევის 6 საათზე, დეპუტატთა პალატაში.

**ბერლინი.** მინისტრ-პრეზიდენტი ბიულოვი დღეს საგანგებო მოხსენებით იყო იმპერატორთან.

**ნიუ-იორკი.** გენ. მაკ-არტური მანილიიდან დეპეშით იტყობინება, რომ უკანასკნელი ჯგუფები პარტიზანულ მებრძოლთა, სალერის მეთაურობით, რომლებიც ილოილის ახლო იმყოფებოდნენ, ეხლა დამორჩილდნენ. კუნძულ პანდიზე წესიერება აღდგენილია.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

✿ ამ დღეებში დეპეშამ გვაუწყა, რომ ჩემბერლენმა უარჰყო «დეილი მაილ»-ის ცნობა, ვითომ იმას თავის ამხანაგებთან ლაპარაკი და უთანხმოება მოსვლოდეს ხარჯთ-აღრიცხვის პროექტის გამო. აი რა ცნობა იყო დაბეჭდილი «დეილი მაილ»-ში:

«ხარჯთ-აღრიცხვის შეტანის წინად ჩემბერლენსა და გიქს-ბიჩს შუა დიდი უთანხმოება მოხდა. ჩემბერლენი ისე მედგრად თხოულობდა, რომ გიქს-ბიჩს ცნობილი მუხლები შეეტანა ბიუჯეტში, რომ ხაზინის კანცლერმა სამსახურიდან გასვლა მოინდომა. ჩემბერლენი თანხმა გახდა ამისა, მაგრამ სოლსბერი და ბალფური წინააღმდეგები იყვნენ. ნახშირზე ბაჟის დადების წინააღმდეგ კონსერვატორების ოპოზიცია იმდენად გაძლიერდა, რომ მთავრობას დამარცხება მოელის. ამის გამო. ჩემბერლენი ურჩევს სამინისტროს ეხლავე სამსახურიდან გადადგეს, მხოლოდ პარლამენტი კი არ დაითხოვონ. ამას

შედეგად ის მოჰყვება, რომ გაჯავრებული კონსერვატორები შეშინდებიან და ხელ-ახლად სამინისტროს ბაირად ქვეშ დადგებიან».

✿ 11 აპრილს ინგლისის დეპუტატთა პალატამ მეორე წაკითხვის შემდეგ 279 ხმის უმეტესობით წინაამდეგ 122 მიიღო კანონ-პროექტი, რომლის ძალითაც ქვრივ კაცს შეუძლიან თავისი გარდაცვალებული ცოლის და შეირთოს. ეს კანონ-პროექტი მთავრობის მიერ არა უთფილა წარდგენილი; მინისტრები—ბროდრიკი, გიქს-ბიჩი, გორსტი და სხვ. ამ კანონის წინაამდეგები იყვნენ, ხოლო სხვა მინისტრები—რიტჩი, კოლინზი, აუსტენ ჩემბერლენი—ამ კანონს მიემხრნენ. «ტაიმს»-ის აზრით, საეჭვოა, რომ ეს კანონი ორივე პალატის მიერ საბოლოოდ იქმნას მიღებული მიმდინარე სესსიის დროსვე

✿ 10 აპრილს ინგლისის პალატაში მუშების დამოუკიდებელი დასის წარმომადგენელმა კერ-გარდიმ მოითხოვა, რომ კენჭი ეყარათ შემდეგის წინადადებისსვის:

«ადგილ-მამულისა და კაპიტალის ეხლანდელი კერძო საკუთრება უფრო და უფრო მძიმე ტვირთად აწვება საზოგადოების მრეწველ და სასარგებლო კლასსებს; ეხლანდელი წარმოება დამყარებულია მეტოქეობისა და მოცილეობის სისტემაზე; ამ სისტემას საგნად მხოლოდ პირადი ხეირი და გამდიდრება აქვს, ამიტომ ის იწვევს ერის გაღარიბებას და საზოგადოების ზნეობრივად და ფიზიკურად დაცემას; კაპიტალისტების სინდიკატები და კავშირები ისე საშინლად გაძლიერდნენ, რომ თავიანთ საოცარი სიმდიდრის ძალით შეუძლიანთ მთავრობაზედაც მავნე გავლენა იქონიონ და თავიანთ საკუთარი სარგებლობისათვის მშვიდობიან ერთა შორის სისხლის მღვრელი ომიც კი ასტეხონ. ყველა ამ ზემო ნათქვამის ძალით, პალატა სცნობს, რომ ამისთანა საქმეთა ვითარება მეტად საშიშია სახელმწიფოს კეთილ-დღეობისათვის და ნდომობს, რომ ეხლავე შეუდგეს ისეთი კანონების გამოცემას, რომლების ძალითაც დაწესებულ იქნება სოციალისტური წეს-წყობილება, ხოლო ეს წყობილება დამყარებული იქნება კაპიტალითა და ადგილ-მამულით საერთო სარგებლობაზე, წარმოებაზე საერთო მოსახმარებლად და არა პირადი მოგებისათვის, დამყარებული იქნება თანასწორობაზე და ყოველ მოქალაქეს თანაბარად შეეძლება სარჩოს შეძენა».

კერ-გარდიმ თავისი წინადადება მშვენიერი, აწმენით სავსე სიტყვებით დაასაბუთა; სამინისტროს მომხრე დეპუტატებმა რამდენჯერმე გააწყვეტინეს მას სიტყვა ყვირილით: «არა, არა, არა».

საარჩევნო ოლქის დერბის წარმომადგენელმა ლიბერალმა ბელიმ მხარი მისცა ამ წინადადებას, ხოლო კონსერვატორმა ბანბერიმ წინააღმდეგ ილაპარაკა. მის ლაპარაკში შუადამე გახდა,—სხდომის დახურვის ვადა მოვიდა. კამათები შესწყდა და კენჭის ყრა ვეღარ მოხდა.

✿ გაზ. «ტან»-ის ცნობით, სესილ როდსის ერთი უახლოეს მეგობართაგანი დოქტორ გარისს ამომრჩეველთა ფულით მესყიდვისათვის დეპუტატის უფლება ჩამოერთო. ამ დღეებში ის თავის ცოლით წავიდა ერთ საარჩევნო კრებაზე, რათა კონსერვატორების კანდიდატების სასარგებლოდ ელაპარაკნა; როცა კრებიდან შინ ბრუნდებოდა, ხალხმა ქვების სროლა დაუწყო გარისს. იმის ცოლს სახეში მოხდა ქვა და დასჭრა.

✿ ალჟირის სადეპარტამენტო საბჭომ თანაგრძნობის ადრესი გაუგზავნა ლუბეტს და ვალდეკ-რუსოს და ამასთანავე სურვილი გამოთქვა, რომ კანონი ასსოციაციების შესახებ ალჟირშიაც შემოღებულ იქმნას.

✿ ალჟირის ქალაქის თავმა რეჟისმა ადგილობრივ ურიებს ეროვნული ტანისამოსის ჩაცმა აღუკრძალა. ამის შესახებ «ჟურნალ დედება» შეჰნიშნავს, რომ რეჟისის ზრუნვა ურიების უშიშროებაზე მეტად საეჭვოაო... შემდეგ ეს გაზეთი დასძენს:

«კრემიეს დეკრეტებს ალჟირელი ურიების ნატურილიზაციის შესახებ არასოდეს არ ჰქონიათ ის მიზანი, რომ ურიებისათვის სხვისი ზნე და ჩვეულება ძალით შეეთვისებინათ, ასე რომ რეჟისი თავის განკარგულებას ტყუილად აფუძნებს ამ დეკრეტებზე. საფრანგეთის მოქალაქის წოდება, მადლობა ღმერთსა. სრულებითაც არავის არ ავალებს, რომ საგანგებო და ერთნაირი ტანისამოსი ჩაიცვას, სწორედ ისეთი, როგორსაც მზად შეკერილი ტანისამოსი მაღაზიებში ჰყიდიან. სულ რამდენიმე წელიწადია მას აქეთ, რაც ზოგიერთ ჩვენ პროვინციებში ისევ ძველებურ ჩაცმა-დახურვას მისდევდნენ; ადგილობრივ კოლორიტს, ელფერს, ეს ძველებური ტანისამოსი მხოლოდ ამშვენებდა და ყველანი ნანობენ, რომ ამ წარსული საუკუნოების მოწამეებთან ერთად ეს კოლორიტიც გაჰქრა. ჩვენ მოვესწარით ერთ სენატორს, ბრეტონულად ჩაცმულს; ერთი ჩვენი დეპუტატი არაბულად იცვამდა, თუმცა ის თითონ პონტარლიედან იყო. იმისთვის არავის არ აღუკრძალავს არაბული ტანისამოსის ხმარება იმ საბუთით, რომ არსებობს ფრანგული ტანისამოსი და რომ მასაც ის უნდა ჩაეცვა. ფრანგული ტანისამოსი არ არსებობს, ყოველ კაცს ნება აქვს ჩაიცვას, რაც იმასა ჰსურს, ოღონდ იმისი ტანისამოსი რიგიანი იყოს და ზრდილობიანობას არ ეწინააღმდეგებოდეს. ყველას ის ემჯობინება, რომ კაცმა მოდას მისდიოს, მაგრამ ყველას ნება აქვს სხვა ნაირი ტანისამოსიც ჩაიცვას. მაქს რეჟისი აცხადებს, რომ ადგილობრივი ტანისამოსი ურიებს, მკვიდრებს, არაბებს, ამსგავსებდა და ამით მკვიდრებს უბრალო შეურაცყოფა ეძლეოდათ, ხოლო ეს მკვიდრები ამ ჟამად ჩვენი ერთგული ქვეშევრდომები არიანო. რეჟისის დადგენილებაში ყველაფერი ღირსია ყურადღებისა: ყველაფერი პროტესტს იწვევს ჩვენი მხრივ.»

✿ ბელგიის მთავრობამ წარმომადგენელთა პალატაში წარადგინა კანონ-პროექტი იმის შესახებ, რომ საქმის პატრონნი* პასუხს უნდა აგებდნენ, როცა იმათ მუშებს უბედური შემთხვევის მიზეზით რამე დაუშავდებათ. ბელგიის აწ-არსებული კანონები ამ საგნის შესახებ არაა სრული, რადგანაც მსგავსად რუსეთში არსებულ კანონისა, ბელგიის კანონებიც უფლებას აძლევენ მუშას საზღაური დაშავებისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში მოითხოვოს, როცა ის საქმის პატრონის მიზეზით დაშავდება, თანაც ეს გარემოება თითონ მუშამ უნდა დაამტკიცოს. ახალი პროექტის ძალით, საქმის პატრონმა უნდა ყოველ შემთხვევაში დააჯილდოვოს მუშა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მუშა განზრახ თითონ დაუშავებს რასმეს თავის თავს. შემდეგ ამ კანონს დაშავებული მუშების შესახებ ძალა ექნება, არა თუ მხოლოდ მრეწველ მუშებზე, არამედ სოფლის მეურნეობაში მომუშავებისათვის და სავაჭრო საქმეებში მოსამსახურეებისათვისაც, თუ მათი ჯამაგირი წელიწადში 2,400 ფრანკს არ აღემატება.

თუ მუშა ისე დაშავდა, რომ მას მხოლოდ დროებით არ შეეძლება მუშაობა, მაშინ ჯილდოდ მიეცემა მისი საშუალო ქირის 50% (ნახევარი); თუ მუშა ცოტად დაშავდა, მაშინ მას ჯილდოდ მიეცემა 50% იმისა, რითაც წინანდელი მისი ქირა აღემატება იმ ქირას, რომელსაც მუშა დაშავების შემდეგ მიიღებს, ვიდრე სულ მორჩებოდეს. თუ სულ მთლად დაშავდა და მუშაობა ვერ შეიძლო, მაშინ დაშავებულ მუშას ეძლევა 50% წლიური ქირისა, დაწყებული იმ დღიდგან, როდესაც დამტკიცებული იქნება მისი სრული უვარგისობა მუშაობისათვის. თუ უბედურ შემთხვევას მუშის სიკვდილი მოჰყვება, მაშინ მის მემკვიდრეებს ეძლევათ 50 ფრანკი დასამარხად და 25% გარდაცვალებულ მუშის წლიური ქირისა. საქმის პატრონს ნება აქვს თავისი მუშები სახელმწიფო კასსაში, კერძო დამზღვევ საზოგადოებებში და ურთიერთ დამზღვევ საზოგადობაში დააზღვიოს; თუ საქმის პატრონი ამას არა იქმს, მაშინ ის მოვალეა წარმოადგინოს იმოდენა ფული, რამოდენიც საჭირო იქნება თანხის შესადგენად, რომლიდანაც შემდეგში მის მუშებს ჯილდო მიეცემათ.

✿ ინგლ. გაზ. «ვესტმინსტერ გაზეთ»-ის სიტყვით, გენერალ ბოტასა, [illegible] და სხვა სარდლებს შეატყობინეს, რომ [illegible] ხანში მათ [illegible] და ზავის მოლაპარაკებას [illegible] ლოდ იმ პირობით [illegible] ტივების) და დამოუკიდებლების შესახებ [illegible] კი არ შეიძლებაო.

✿ «დეილი ქრონიკლ»-ის ცნობით, ინგლისის წარმომადგენელმა ამერიკაში, ნიუ-ორლეანში, მოახსენა, რომ ბევრი იმ მეჯინიბეთაგანი, რომლებიც ინგლისელებმა დაიქირავეს, ბურების ფარული აგენტები ყოფილან; ამერიკიდან სამხრეთ-აფრიკაში გაგზავნილ ცხენებს ამ აგენტებმა განზრახ ქოთაო და სხვა გადასადები სენი შეჰყარესო. ამის გამო 100 ცხენამდე მოკვდა და ბევრი სნეული ცხენი კაპშტადში მიყვანის შემდეგ ძალიან მოკლესო. კაპის ხელრო მთავრობის წინადადებით, ღონისძიება მიღებული, რომ შემდეგში ნაყიდ ცხენებს მეტი ყურადღება მიაქციონ.

✿ ამას წინად ვაშინგტონში კუბელების მისია მივიდა; ამერიკის მთავრობა დიდის ვაზიანობით დაუხვდა; კომისიასთან ერთად კუბის გენერალ გუბერნატორი ვუდიც მოვიდა. «ტაიმს»-ის ცნობით, მაკ-კინლეი მიიღებს კომისიას, მოისმენს მათ მოთხოვნას, მეტად თავაზიანად მოეპყრობა, კუნძულ კუბას კეთილ-დღეობას უსურვებს, კომისიის წევრებს გააცნობს სენატორებსა და მინისტრებს, ხოლო ამ უკანასკნელთ იმედი აქვთ კომისიის წევრები დაარწმუნონ, რომ ამერიკის მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კუნძულ კუბაზე თავისი პროტექტორატი დაიცვას.

## ახალი ამბავი

✦ გუშინ, 20 აპრილს, ტფილისის გუბერნატორმა შეატყობინა ტფილისის ქალაქის თავს, რომ კავკასიის მთავარ-მართებელმა აუცილებლად დაინახა სამართალში მიეცეს—1) ტფილისის ქალაქის თავი ევანგულოვი, სისხლის სამართლის დებულების 411 და 417 მუხლის ძალით, გამგეობის წევრი ხოსროევი 411 მუხლის ძალით, გამგეობის წევრად ნამყოფი თ. ა. არღუთინსკი-დოლგორუკოვი 411, 417, 337, 341 და 409 მუხლების ძალით, გამგეობის წევრად ნამყოფი ივანენკო 411, 417 და 409 მუხლის ძალით და გამგეობის წევრად ნამყოფი ვერმიშევი—411 და 409 მუხლების ძალით. ამასთანავე ბ. გუბერნატორი ატყობინებს ქალაქის თავს, რომ, რადგანაც თ. არღუთინსკი სამართალშია მიცემული 341 მუხლის ძალით, ქალაქის დებულებ[illegible]

# ფელეტონი

## საყურადღებო წიგნი.

ამ დღეებში ტფილისში დაიბეჭდა მეტად საინტერესო და საყურადღებო წიგნი, რომელსაც ეს სათაური აქვს: «Кавказскіе этюды». Изслѣдованія и замѣтки Е. Г. Вейденбаума.

ბ-ნი ვეიდენბაუმი დიდი ხანია ცნობილია, როგორ ერთი საუკეთესო, გონიერი და დაკვირვებული მკოდნე კავკასიის სხვა და სხვა ტომთა ისტორიისა და ეტნოგრაფიისა. მისი მრავლად ნაწერი თხზულებანი აქნობამდის გაბნეული იყო სხვა-და-სხვა ჟურნალებსა და დრო-გამოშვებით გამოცემებში და მხოლოდ ეხლა ზოგიერთი მათგანი შეუკრებია ავტორს და დაუბეჭდია ერთ წიგნად, რაიც საშუალებას მისცემს მკითხველს ერთბაშად წაიკითხოს და ნამდვილი სიამოვნება მიიღოს. წიგნში სულ თექვსმეტი წერილია შეკრებილი. რომელი წერილიც გნებავთ, ის აიღეთ და გადაიკითხეთ. კითხვის დროს უეჭველად იგრძნობთ, რომ საქმე გაქვთ დარბაისელ მწერალთან, რომელსაც ჰირივით ეჯავრება სიტყვების რახა-რუხი და რომელიც მოკლედ და თან სავსებით მოგითხრობთ ნამდვილს ფაქტს.

ქართველ მკითხველისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა შემდეგი წერილები: ა) მგზავრის შენიშვნები ბათუმიდან ართვინამდე; ბ) გრაფ ტოტლებენის ლაშქრობა; გ) პირველი ქართული გაზეთი და დ) ვ. ტ. ნარეჟნი და მისი „კავკასიის რომანი“. უკანასკნელი წერილი ჩვეულებრივ, მოკლედ გადმოგვცემს შინაარსს რომანისას, სადაც მოთხრობილია ფარულად ნეტარხსენებულის გენერალის კნორინგისა და კოვალენსკის დევ-გმირობანი, მათი ალვირ-აშვებული საქციელი და უსამართლოებანი, მიმართული ქართველებისადმი: ჩვენ არ გვეგულება ისეთი მკითხველი, რომელსაც არ სმენოდეს კნორინგისა და კოვალენკის სახელები და ამისათვის მათ შესახებ ლაპარაკს არ გავაგრძელებთ. არ ვილაპარაკებთ აგრეთვე ტოტლებენის ლაშქრობისა და პირველი ქართული გაზეთის შესახებ. მკითხველს ვურჩევთ პირდაპირ თვითონ წიგნს მიჰმართოს და გულდასმით გადიკითხოს ტოტლებენის გმირობანი და გაითვალისწინოს ის უბედური დრო, როდესაც ტოტლებენი პარპაშობდა ჩვენში და სულს უმღრევდა დიდ სულოვანს მეფეს ირაკლი მეორეს. ამისათვის მარტო ასპინძის ომის გახსენებაც კმარა.

ამ ჟამად ჩვენი სურვილია განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ მკითხველისა „მგზავრის შენიშვნებს“ ბათუმიდგან ართვინამდე. ამ წერილში გამოთქმული აზრი ნათელსა ჰფენს ამ სამწუხარო მოვლენას, რომელსაც ეხლაც ვხედავთ გამაჰმადიანებულ საქართველოში, სადაც ჩვენ თვალწინ ჩვენი ღვიძლი ძმები დღითი-დღე სამშობლო ენას ივიწყებენ და ნამდვილად „თათრდებიან“. მაგრამ თვით ავტორს მოუსმინოთ. ამას კი ნუ დაივიწყებთ, რომ წერილი დაწერილია დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ნამესტნიკის დროს.

„ქართული ენა ბატონობს ქობულეთსა, აჭარასა და შავშეთში. ჭოროხის ხეობაში, მართალია, ქართულსაც ხმარობენ, მაგრამ ალაგ-ალაგ უკვე შეუბღალავთ, ზოგიერთ ადგილს კი შეუცვლიათ ოსმალურის ენით. ხალხთან ურთიერთობის დაჭერის დროს რუსული ენის ხმარებაზე ფიქრიც კი შეუძლებელია, ამის გამო ადმინისტრაცია იძულებული იქმნება იხმაროს ოსმალური ან ქართული ენა“.

მკითხველს ხელმეორედ მოვაგონებთ, რომ ავტორს უმოგზაურნია 1878 წ., ე. ი. ომის გათავების შემდეგ, როცა საქართველოს ის იყო შემოუერთდა სამშობლოს ერთი მოწყვეტილი კუთხე.

„იქ, განაგრძობს ბ-ნი ვეიდენბაუმი, საცა ოსმალური არ ეყურებათ (ისეთი ადგილები ჯერ კიდევ მოიპოვება) ხმარებაში იქნება, რასაკვირველია, ქართული. მაგრამ იქაცკი, სადაც ხალხს ოსმალური ეყურება, ჩემის აზრით, ოფიციალურ ენად ქართული უნდა გახდეს. ქართულის დავიწყება მაშინ დაიწყო, როცა, ოსმალოს მფლობელობის დროს მთავრობის მოხელეობამ ხალხს ოსმალურად დაუწყო ლაპარაკი და ზიზღით უყურებდა ქართულს, როგორც არა მუსულმანურს, ასე რომ თვით სახელწოდება „ქართველი“ სასირცხვილოდ შეიქმნა. მაშასადამე, უკეთუ ეხლა მოხელეობა ხელახლა ქართულად დაიწყობს ლაპარაკს, ხალხი ძალაუნებურად გაიხსენებს ძველს სამშობლო ენას და დაიწყებს ამ ენით ლაპარაკს, ეს კი დიდმნიშვნელოვანი საქმეა. ქართული ენის აღდგენა განაახლებს ხალხის მეხიერებაში ჯერ კიდევ მთლად არ ჩამქრალ მოგონებას საქართველოსთან ეროვნულ ერთობისას, და, მაშასადამე, მკვიდრნი ზნეობრივ საქართველოსკენ იწყებენ ლტოლვას, როგორც ეხლა მიილტვიან ოსმალეთისკენ, რომელთანაც მათ აერთებს ენა და სარწმუნოება. შემდეგ ისიც უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ ხალხის წარმოდგენით და გონებით ოსმალური ენა და მუსულმანობა განუყრელია და ერთსა და იგივესა ჰნიშნავს, როგორც ქართული ენა და ქრისტიანობა განუყრელია ხალხის გონებაში. მაშასადამე ქართულის ენის აღდგენით გაწყდება და მოისპობა ერთი იმ კავშირთაგანი, რომელიც მკვიდრს აერთებს სამუსულმანო იდეასთან მე არ ვამბობ, რომ ქართული ენა ძალდატანებით შევიტანოთ. მე მსურს მხოლოდ, რომ, როცა მთავრობის მოხელ[illegible]

...ის მიხედვით, მას არ შეუძლია ითვლ... დეს საბჭოს ხმოსნად.

...ხლის სამართლის დებულების 411 ... ამბობს, თუ მოხელის დაუდევრობა... უსაქმურობის ან გვიანობის მიზეზით, ...დებობის აღსრულებაში ცხადი უწესო... საქმეების მივიწყება მოხდა, მოხე... ნდა იქმნეს მიცემული სამართალში, ...რსაც შეუძლია მიუსაჯოს მას—1) სა... ...რი სამსახურის სიაში შეტანით; 2) ...ურის დროიდან გამოკლება 3 თვიდან ...ლამდე ან 3) სამსახურიდან დათხოვ... ...9 მუხლი დანიშნულ დროზე არქივე... ...უმოწმობლობისათვის მოხელეს ეძ... ...მენიშვნა, მაგრამ თუ ამ დაუდევრო... ...ზეზით მოხდა რამ დანაშაულის ჩადე... ...ხელეს მოელის იგივე, რაც 411 მუ... ...ალნიშნული. 417 მუხლით—თუ თა... ...ობის პირი რომელიმე მოხსენების ...ის დროს შესაფერად არ შეამოწ... ...ოხსენებაში აღნიშნულ გარემოებებს ...უზრახველად წარმოადგენს საქმეს ...ებით უსწოროდ, მოხელეს მოელის ...უხლში აღნიშნული სასჯელი. 337 —თუ დაწესებულება ან პირი, რო... ...მისი მოთხოვნილებისამებრ, არ ...ა საჭირო ცნობები ან საბუთის ქა... ...ბი, არ დასჯის დანაშაულ პირს და ...ტყობინებს ვისიც ჯერ არს, იგი ...შენიშვნას ან და სასტიკ საყვე... სამსახურის სიაში აღნიშვნით. 341 —ვინც უფლების გარეშე მოქმედებს, ...კანონოდ ხმარობს თავის უფ... საქმისა მნიშვნელობისა და გარე... ...ა მიხედვით დაისჯება: ან თანამდე... ...გან გადაყენებით, ან სამსახურიდგან ...ვნით, ან ციხეში დაპატიმრებით 8 ...16 თვემდე; განსაკუთრებულ საყუ... ...ბო საქმის გამო კი—განსაკუთრე... ...ირადათ და მდგომარეობით უფლე... ...რატესობათა ჩამორთმევით და ციმ... საცხოვრებლად გაგზავნით.

...ტფილისის გუბერნატორმა შეატყო... ...ლაქის თავს, რომ თ. ნ. თუმანოვი, ...ულებელ დამფასებელ კომისიის წევ... ...მყოფი, კავკასიის მთავარმართებლის ...ულებით სამართალში იქმნა მიცე... ...ისხლის სამართლის დებულების 362 ...ძალით. თანახმად ამ მუხლის უმ... სასჯელისა, რომელიც მოელის დამ... ...ცნობილს, არის ყველა უფლება... ...რთმევა და ციმბირში დასასახლებ... ...გზავნა.

...რამვაის უსახელო საზოგადოების ...ამ დეპეშით სთხოვა ტფილისის ქალაქის თავს დაწვრილებით შეატყობინოს მას ქალაქის გამგეობისა და ბ. რობის შუა მომხდარ უთანხმოების გარემოება. ხსენებული საზოგადოება თანახმაა გამოგზავნოს ქალაქთან მოსალაპარაკებლად განსაკუთრებული წარმომადგენელი.

✦ ტრამვაის კომისიამ ტეხნიკებსა და ბ. რობისთან ერთად დაათვალიერა ტრამვაის რკინის გზები (28 მარტს) დაინახა უწესოება და შეადგინა ოქმი. ეს ოქმი ხელის მოსაწერად გაუგზავნეს ბ. რობის. უკანასკნელმა არამც თუ ხელი არ მოაწერა ხსენებულ ოქმს, არც-კი დაუბრუნა იგი კომისიას. ეხლა კომისიის თავმ-ჯდომარემ სთხოვა ქალაქის თავს წინადადება მისცეს ბ რობის დაუბრუნოს ოქმი და გაასწოროს ოქმში აღნიშნული უწესოება.

✦ ორშაბათს, 23 აპრილს, ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა დღესასწაულისა გამო არ შესდგება.

✦ ხუთშაბათს, 18 აპრილს, ქალაქის გამგეობის დარბაზში სხდომა ჰქონდა ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიას, რომელმაც, სხვათა შორის, განიხილა განცხადება სასწავლებლის მკურნალის ქალანთაროვისა იმის შესახებ, რომ ნება დაერთოს მას საკომერციო სასწავლებელშიაც იმსახუროს. რადგანაც ქალანთაროვმა წარმოადგინა მოწმობა საკომერციო სასწავლებლის მთავრობისაგან, რომ იქ მხოლოდ ერთხელ დადის კვირაში, კომისიამ დაადგინა მიეცეს ნება ქალანთაროვს საკომერციო სასწავლებელშიაც იმსახუროს, მხოლოდ იმ დროს, როცა ქალაქის სასწავლებლიდან თავისუფალი იქმნება. კომისიამ ამავე სხდომაზე განიხილა ა. ს. ბაბოვის მიერ შემუშავებული პროექტი, თუ როგორ უნდა იქმნეს გადაკეთებული ნარიმანოვის სახლი ავლაბარში ავლაბრის მეორე სასწავლებლის მოსათავსებლად. ამასთანავე აღიძრა კითხვა, რომ ქალაქის მიწაზე იქმნეს საკუთარი სახლი აშენებული ავლაბარში აღნიშნულ სასწავლებლისათვის. კომისიამ მიიღო ეს წინადადება და დაადგინა—შემუშავებულ იქმნეს შენობის გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც უნდა წარედგინოს ქალაქის გამგეობის შუამავლობით ქალაქის საბჭოს განსახილველად. თუ ვინიცობაა მომავალ სამოსწავლო წლის დასაწყისამდე ვერ დაამზადეს ავლაბრის მეორე სკოლისათვის შენობა, მაშინ დაიქირავონ ნარიმანოვის სახლი, თუ იგი დასთანხმდება გადააკეთოს თავის სახლი თანხმად კომისიის მიერ შემუშავებულ პროექტისა.

✦ გუშინ წინ ტფილისის ქალაქის გამგეობაში შეერთებული სხდომა ჰქონდა ტფილისის ქალაქის გამგეობას და საფინანსო კომისიას, რომელზედაც იყვნენ აგრეთვე მოწვეულნი ადგილობრივ საკრედიტო დაწესებულობათა მმართველნი და ზოგიერთი ხმოსნები. სხდომამ, განიხილა რა ქალაქის მესამე საობლიგაციო სესხის განაღდების საქმე, დაადგინა, მესამე საობლიგაციო სესხიდან გაანაღდოს ობლიგაციები ჯერ მხოლოდ 200,000 მანეთისა და ამასთანავე დაავალოს ქალაქის მოურავს ევანგულოვს, მოელაპარაკოს ტფილისის განყოფილებასა და სხვა ადგილობრივ ბანკების მმართველთ იმის შესახებ, რა ფასად შეიძლება ხელის მოწერა გამართოს ქალაქის ობლიგაციებზედ და თუ ამასთანავე გამოირკვა, რომ 100 მანეთიანი ობლიგაცია 91 მან. 50 კაპ. ნაკლები ეღირება, მაშინ ხელმეორედ მოწვეულ იქმნეს შეერთებული სხდომა ამ საქმის შესახებ მოსალაპარაკებლად; და თუ ობლიგაცია 91 მან. 50 კაპ ანუ კიდევ მეტი ეღირება, მაშინ გამოცხადდეს ხელის მოწერა ქალაქის გამგეობაში და ბანკებში ამა აპრილის 25 რიცხვიდან 2 მაისამდე იმ პირობით, რომ მთელი ფული უნდა იქნეს გარდახდილი ხელის მოწერისთანავე.

✦ ამას წინად ქალაქის სასწავლებელთა გამგე-კომისიაში აღძრული საკითხი—შეიძლება თუ არა ქალაქის სასწავლებელთა მკურნალმა იმავე დროს იკისროს სხვა თანამდებობაცო, კომისიამ განიხილა გუშინ-წინ, 19 აპრილს, და ის აზრი გამოსთქვა, რომ მოუხერხებელია და თანაც არა სასურველი სასწავლებლის მკურნალი სხვა დაწესებულიბაშიაც ასრულებდეს თანამდებობასაო.

✦ გუშინ წინ ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიამ განიხილა ქ-ნ თულაშვილს განცხადება იმის შესახებ, რომ იგი ააშენებდა საკუთარ ადგილზე სახლს კუკიის მეორე პუშკინის სახელობის ქალაქის სასწავლებლის მოსათავსებლად, თუ ამას მოისურვებდა ქალაქის გამგეობა. კომისიამ დაადგინა უარი გამოეცხადოს თულაშვილისას, რადგანაც კომისიას ჰსურს აღნიშნული სასწავლებელი გამართოს პოლიციის მე-3-სა ან მე-5 ნაწილში, რადგანაც ქალაქს იქ არც ერთი სასწავლებელი არა აქვს თავის ხარჯზედ.

✦ სამშაბათს, 24 აპრილს, საღამოს 8 საათზე, ქალაქის გამგეობის დარბაზში სხდომა ექმნება ქალაქის საბჭოს იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს ქალაქის ცხენის რკინის გზის თვალ-ყურის ჭერა. კომისია რამდენიმე საქმეს განიხილავს.

✦ ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექციამ წინადადება მისცა მის უფლებაში მყოფ სკოლებს მონაწილეობა მიიღონ მომავალ საიუბილეო გამოფენაში მოსწავლეთა ნაშრომის გამოფენით.

✦ კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების სადგომში ხ თშაბათს, 19 აპრილს, სხდომა ჰქონდა ტფილისის სტამბების პატრონებთან ერთად იმ-კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს წელს კავკასიის სასოფლო სამეურნეო გამოფენაზე ბეჭდვით საქმის პავილიონის გამართვა. კომისიას უკვე შეუმუშავებია პავილიონის გასამართავად საჭირო ხარჯთ-აღრიცხვა, რომელსაც წარუდგენს განსახილველად ბეჭდვით სიტყვის წარმომადგენელთა საზოგადო კრებას. ეს კრება დანიშნულია ორშაბათს, 23 აპრილს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში დილის 11 საათზე.

✦ კავკასიის ოლქის წყლების უფროსი ბ. პეტროვი წავიდა მუღანში. ერთის დღით წინ მუღანშივე წავიდა 12 ტეხნიკოსი.

✦ პირველი ნაწილის გამომძიებელი უკვე შეუდგა მოხელე შჩეგლოვის უცნაურ სიკვდილის საქმის გამოძიებას. მოწვეულია რამდენიმე მოწამე, ერთი დაატუსაღეს კიდეც.

✦ ხუთშაბათს, 19 აპრილს, ტფილისის ოლქის სასამართლოს მეორე სისხლის სამართლის განყოფილებამ განიხილა საქმე სიღნაღის მაზრის სოფელ ჩაილურის მცხოვრების გლეხის სოლომონ ნიკოლოოზის ძის ფეიქრიშვილისა, რომელსაც ბრალად ედებოდა ამავე სოფლის მცხოვრების 17—18 წლის ქალის მარიამ გორელაშვილის მოკვლა. საქმე ამნაირად ყოფილა: წასულ წელში აღნიშნულ სოფელ ჩაილურის მცხოვრებნი ოთხი ქალი სადუნაშვილისა, აგანაშვილისა და ორნი გორელაშვილებისა მიდიოდნენ სოფელ გარეთ ერთ ტყის პირას, საიდგანაც უეცრად გამოვარდნილა სახე შეფუთვნილი კაცი თოფით ხელში, შეუტევია ქალებისათვის და უსროლია თოფი; ქალებთაგან დაჭრილა მარიამ გორელაშვილისა, რომელიც მალევე გარდაცვლილა ამ ჭრილობისაგან; მკვლელი უცნობი კაცი გაქცეულა. შემდეგ მკვლელობაში ეჭვი მიუტანიათ სოლომონ ფეიქრიშვილზედ, რომელსაც ვითომ ცოლად უნდა ნდომოდეს მარიამ გორელაშვილისა და უკანასკნელი არ გაჰყოლოდეს მას. ოლქის

...აჭიროებენ ხალხთან საქმე იქონი... სიტყვით, ან წერილობით ელაპა... ...ალხს ქართულად. ეს საკმარისი თუ ქართულის დავიწყება მოხდა ...მო, რომ ოსმალოს ბატონობის ...აჭიროება აღარ იყო ამ ენისა, ეხ... ...თვე აღსდგება ეს ენა, როცა მკვი... ...ისმენს და გაიგონებს ქართულს ...ვროსებისაგან. რაც უნდა იყვეს, ...იდან რუსულზე გადასვლა თავის ...უფრო ადვილი იქნება, როგორც ...ნული ენიდან ქრისტიანულზევე, ოსმალურიდან რუსულზე, რადგან ენა ხალხის თვალში წარმოადგენს ...იო იდეას.

...ზე წმინდად და ხელშეუხებლად ქარ... ...ენახულა ქობულეთსა, აჭარასა და ...მი, ე. ი. იმ ადგილებში, საცა ...ის მთავრობას ნაკლები ფაქტიური ჰქონდა და განაგებდა ქვეყანას ...ბრივი ბეგების შემწეობით. ეს გა... უპირველესი დამტკიცებაა იმისი, ...დიდი მნიშვნელობა და გავლენა ...ზე იმ ენას, რომელზედაც მოხე... ...აპარაკობენ. ეს საგანი მეტის-მე... ...დ-მნიშვნელოვანია და უნდა ...ელდეს სიფრთხილით და რაც მალე, რადგან ოსმალური ენა ...ება მეტად სწრაფად. აღარ უნდა ...დ ის შეცდომა, რომელიც მოგვივიდა 1829 წ., ახალციხის მაზრის შემოერთების დროს. ჩვენ არ ვიცოდით მაშინ, ან დავივიწყეთ, რომ მაზრაში ბევრი ა გამაჰმადიანებული ქართველი და რადგან ესენი ოსმალებად ჩავთვალეთ, ლაპარაკიც ოსმალურად დავუწყეთ. შედეგიც მალე აღმოჩნდა: ქართული ენა გაჰქრა უკვალოდ და ჩვენც იძულებული ვართ ყოველთვის, ოსმალეთთან ომის დროს, შიშს ქვეშ ვიყვნეთ—ვაი თუ ჩვენმა მოსამზღვრე გამაჰმადიანებულმა ხალხმა გვიღალატოსო.

დიდად საჭიროა აგრეთვე, რომ მალე გაიმართოს პირველ დაწყებითი სკოლები, სადაც საგნებს ქართულად უნდა ასწავლიდნენ. ჩვენთვის საბედნიერო გარემოებად უნდა ჩაითვალოს ისა, რომ ამ ოლქში მაჰმადიანთ სამღვდელოება, როგორც ეტყობა, მრავალი არ არის და აგრე ერთგულად და ძნელ ვერ ასწავლის ბავშვებს ყორანის კითხვას. მაგრამ ეგები ამ მხრივ მე ვცდები. მ-ემ *) გვიამბო, რომ დიდშაბათს, საღამოს, მკვიდნი აქნობამდინ ჩვეულებრივ იკრიბებიან დანგრეულ საყდრებთან და სანთლებს ანთებენო...“

სიტყვა სიტყვით მოყვანილს ადგილს წერილისას ბევრი განმარტება აღარ ესაჭიროება. დედა-აზრი ისე ნათელია, ისე მკაფიოდ და სახელმწიფო საჭიროების შეგნებით არის გამოთქმული, რომ უკეთესის სურვილი უმადურობა იქნებოდა. ქართველებს ფიზიკურ სიზანტესთან ჭკუა გონების სიზანტეცა გვჭირს. რაც შორიდან მოსულმა კაცმა ასე გარკვევით შეიგნო, ჩვენ დღესაც არ შეგვიგვნია. საბუთის მოსაყვანად შორს არ დაგვჭირდება წასვლა. წარსულ კვირას ს. ტოლოშიდან (ახალც. მაზრა) წერილი იყო დაბეჭდილი „ივერიაში“ გიგო შატბერიშვილისა, რომელიც მასწავლებლობს ს. ტოლოშში. მერე იცით რასა სწერს ბ-ნი შატბერიშვილი? აი რასა: ს. ტოლოშში სცხოვრობს 14 კომლი ქართველიო და 13 კომლი თათარიო. ნამდვილად კი ასეა. სოფლის მკვიდრნი მელიქიძენი და ნადირაძენი, ნახევარი მართლმადიდებელნი და ნახევარი მუსულმანნი არიან. ნუ თუ სარწმუნოება ეროვნობას გამოუცვლის კაცსა? განა გიგო შატბერიშვილმა ხვალ ლიუტერანობა რომ მიიღოს, გაგერმანელდება? არა გვგონია. რაც ასე ადვილად შეითვისა ბ. ვეიდენბაუმმა, ჩვენდა საწუხაროდ, ჯერ ვერ შეგვითვისებია ჩვენ, სწავლა მიღებულ ქართველებს და ჩვენ მთავრობის მოხელეებთან ერთად ვიმეორებთ იმავე შეცდომას, რაც ჩაუდენიათ 1829 წ. და რამაც ასე მწარე ნაყოფი მოიტანა. ახალციხის მაზრაში მართლა ქართული ენა ნელ-ნელა ჰქრება. აქ მხოლოდ შევნიშნავთ, რომ საბედნიეროდ ჯერ კიდევ ჰფეთქავს სამესხეთოს ენა აწყურიდან დაწყობილი მტკვრის შეყოლება ასპინძამდე და ფოცხოვის შეყოლება ბენარამდე. ქობლიანმა კი სავსებით დაივიწყა ჩვენს დროს ქართული ენა, როგორც ბ-ნი ვეიდენბლუმი ბრძანებს. ენის დავიწყებას და ქართველის სახელის გათახსირებას ეხლაც დიდად უმართავთ ხელს. აწყურის სკოლის მასწავლებლებად ყირიმიდან იწერენ ყვაწვილ კაცებს, რომელნიც ისე სდევნიან ძველ ქართულ გვარებს, როგორც მშიერი მგელი პირუტყვსა, მაგრამ ამის შესახებ შემდეგ როდისმე, მხოლოდ ამ ხანად ქართველობამ ეს კარგად შეიგნოს, რომ თუ რაიმე ღონე არ ვიღონეთ, ეს მშვენიერი კუთხე მალე ხელიდგან გამოგვეცლება. თუ აქამდისინ ქართული სრულიად არ მოსპობილა, ამისი მადლიერნი უნდა ვიყვნეთ ახალციხელი ებრაელებისა...

დასასრულ, მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ კიდევ ერთს გარემოებას. ბ-ნს ვეიდენბაუმს მტკიცე სინამდვილით აქვს თავის საყურადღებო წიგნში ნახმარი სხვა-და-სხვა სახელწოდებანი ჩვენის ადგილ-მდებარეობისა. ეს ძვირი მოვლენაა და ამისათვის ძვირფასი. სხვა წიგნებში ჩვენებური ხახელები სულ დამახინჯებულია ხოლმე.

აჩავინ.

*) აქ დასახელებული მ. არის მიხეილ პავლესძე მეფისაშვილი; მაშინდელი არტვინის ოლქის უფროსი. დღეს ახალციხეს სცხოვრობს.

სასამართლოში ამ საქმის გამო 10 მოწამე იყო დაბარებული. სასამართლომ უდანაშაულოდ იცნო სოლომონ ფეიქრიშვილი მარიამ გორელაშვილის მოკვლის საქმეში და გაამართლა იგი.

◆ ხვალ, კვირას, ნატახტარში მიდის განსაკუთრებული კომისია ტეხნიკების, ინჟენერების, ექიმების და ხმოსნებისა ადგილობრივ წყაროების გამოსაკვლევად.

◆ სამთო დეპარტამენტი წელს არ მოჰკიდებს ხელს ხაზინის მიერ შეძენილ ტყიბულის ნახშირის მადნების ექსპლოატაციას, რადგან ნახშირისათვის ჯერ საკმაო ბაზარი არ არის: მარტო რკინის გზამ მოითხოვა 1 მილიონი ფუთი ნახშირი. წელს ხსენებული დეპარტამენტი ცეცხლის ქრობას მიჰყოფს ხელს. ამ მიზნისათვის გადადებულია 3000 მან.

◆ გზათა სამინისტროს გადაუწყვეტია მიუმატოს ამიერ კავკასიის რკინის გზის ვაგონებს 400 საქონლის ვაგონი და 20 პლატფორმა.

◆ ქ. ახალციხის მოურავმა წარმოუდგინა დასამტკიცებლად ტფილისის გუბერნატორს დამფასებელ კომისიის წევრები და თან სთხოვა ნება დაერთოს კომისიას ეხლავე შეუდგეს ქალაქში მდებარე მიწების დაფასებას.

◆ როგორც მკითხველებმა იციან, რამდენიმე ექიმმა ენიკოლოფოვის აფთიაქში ღამით მორიგობა დაიწყეს ეს ორი თვეა. ერთის თვის განმავლობაში მორიგი ექიმისათვის მიუმართავს 48 კაცს; ამათგან 10-ისთვის უსასყიდლოდ უწამლიათ. სულ ორის თვის განმავლობაში წაუყვანიათ მორიგი ექიმი 86-ჯერ.

◆ გუშინ წინ ბოქაულმა ფირუმოვმა შეიპყრო „იუჟნი ნომრებში“ გეოქჩაის მაზრის მცხოვრები მაჰმუდ ახმეტ-ოღლი, რომელმაც ამას წინეთ 4 სხვა ავაზაკთან ერთად გაძარცვა და კაცის კვლა ჩაიდინა. ბაქოს ოლქის სასამართლომ გადაუწყვიდა მაჰმუდ ოღლის 8 წლის კატორღა. ბრალდებულთ განასაჩივრეს საქმე სამოსამართლო პალატაში, მაგრამ პალატამ 18 აპრილს დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი. მაჰმად-ახმედ-ოღლი, როგორც თვითონ გამოტყდა დაჭერის შემდეგ, სპარსეთში აპირებდა თურმე გაქცევას.

◆ მარგანეცის მრეწველთა საბჭომ დანიშნა თავის წარმომადგენლად მომავალ გამოფენის საორგანიზაციო კომიტეტში პ. ი. უმიკაშვილი.

◆ როგორც ვიცით, გაზეთ „პეტერბურგსკია ვედომოსტის“ რედაქტორი თ. ე. უხტომსკი ცილის წამებას უჩივის „კავკაზ“-ის ყოფილ რედაქტორს ველიჩკოს. გამომძიებელმა მოიწვია თურმე ბრალმდებელი და ბრალდებულიც, რათა მოერიგებინა ისინი, მაგრამ მორიგება არ მოხდა და საქმეს კანონიერი მსვლელობა მიეცა.

◆ უმართებულესმა სენატმა გაუგზავნა სამოსამართლო პალატებს და ოლქის სასამართლოებს ბრძანება ასახსნელად 1900 წლის 10 ივნისს უმაღლესად დამტკიცებულ წესებისა შესახებ ციმბირში გადასახლების მოსპობისა. სასამართლოები მოვალენი არიან მოახდინონ დამატებითი დადგენილებანი ყველა იმ საქმეების შესახებ, რომელთა შესახებ განაჩენები კანონიერ ძალაში არ შესულან 1901 წლის 1 იანვრამდე და აგრეთვე იმ საქმეების შესახებაც, რომელთა შესახებ განაჩენები დადგენილი იყვნენ 1901 წლის 1-ლ იანვრამდე, მაგრამ საკასაციო განსაჩივრების შემდეგ დაბრუნებულ იქმნენ ხელ-ახალ გასარჩევად ხსენებულ წლის პირველ იანვრის შემდეგ.

◆ უწმინდესის სინოდის განკარგულებით, ყველა სასულიერო სასწავლებლებში იდღესასწაულებენ 11 მაისს სლავიანთა განმანათლებელ კირილესა და მეთოდეს პატივსაცემლად.

◆ საგანგებო კომისიამ განსვენებულ საერო განათლების მინისტრის ბოგოლეპოვის თავმჯდომარეობით თავი მოუყარა დიდ ძალ და მეტად საინტერესო მასალას რუსეთში სწავლა-განათლების მდგომარეობის და გაუმჯობესობის შესახებ. როგორც ვიცით, ამ მასალისა სხვა და სხვა აზრებისა და პროექტების შესამუშავებლად დანიშნულ იქმნა კომისია შვიდის კაცისაგან შემდგარი, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველად ნამყოფის იანოვსკის თავმჯდომარეობით. ამ კომისიამ შეადგინა პროექტი ახალის გიმნაზიისა, სადაც ძველ ენებიდან ასწავლიან მხოლოდ ლათინურს; სამაგიეროდ შემოღებულ უნდა იქმნეს საბუნებისმეტყველო საგნების სწავლება და ახალ ენების გაკვეთილების რიცხვი ეხლა არსებულზედ მეტი უნდა იქნეს. გიმნაზიები ბერძნულის ენით უნდა იქნეს მხოლოდ ისეთ ქალაქებში, სადაც რამდენიმე გიმნაზიაა. გარდა ამისა კომისიამ შეიმუშავა წესდება 8 კლასიან რეალურ გიმნაზიისა; ამისთანა გიმნაზიებში კურს-დამთავრებულთ შეეძლებათ განსაზღვრულ პირობებით უნივერსიტეტებში შესვლა. ამასთანავე კომისიამ ყურადღება მიაქცია მასწავლებელთა მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესობას, რისთვისაც მომატებულ უნდა იქნეს ჯამაგირები ჲ გადიდებული პენსიები. მასწავლებელთა მოსამზადებლად განზრახულია ერთის ან რამდენიმე პედაგოგიურ ინსტიტუტების დაარსება. მთელი ნაშრომი ხსენებულ ორის კომისიისა იქნება საფუძველი საშუალო სასწავლებლის ახალ პროექტისა, რომელიც განიხილება სახელმწიფო საბჭოში მიმდინარე წლის შემოდგომის სესსიის დროს.

◆ ნიგოითიდან გვწერენ: ყველას გული დასწყვა თავადის ასულის თამარა მაჭუტაძის გარდაცვალებამ, რომელიც დაასაფლავეს 14 აპრილს დიდ-ძალი ხალხის თანდასწრებით. განსვენებული, როგორც მკითხველებს ეხსომებათ, უცაბედათ ნასროლი ტყვიის მსხვერპლი შეიქმნა. ახალ-გაზრდა სიცოცხლით სავსე თამარა მეტათ კეთილი და პატიოსანი ადამიანი იყო, და ყველას სამწუხაროც ის არის, რომ ასეთი გულწრფელი და მშვიდი არსება რათ შეიქმნა იმ მავნე და სულელურ ჩვეულების მსხვერპლით, როგორიც არის ქორწილებში თოფ-რევოლვერების სროლა. განსვენებულმა როგორც ქართული და რუსული ენა, ისე ინგლისურიც კარგად იცოდა და განზრახვა ჰქონდა ჩვენი ლიტერატურისათვის ინგლისურიდან ეთარგმნა.

◆ გუშინ წინ მანგლისიდან ტფილისში ჩამოვიდა ურმებით და ფურგუნით რამდენიმე ჯარის კაცი 13 ერევნის პოლკის საჭირო სანოვაგის საყიდლად. სხვათა შორის ცხენები წაიყვანეს მტკვარზე წყლის დასალევინებლად. ტალღამ ერთი ურემი გადააბრუნდა ჲ შიგ მჯდომი ჯარის კაცი გაიტაცა ბევრი ეცადნენ, მაგრამ საბრალოს ვერა უშველეს რა.

◆ სად. აჯამეთში, 19 აპრილს, მანევრის დროს, კონდუქტორს გიორგი ფილიპოვს ორთქლმავალიდან ვაგონები უნდა მოეხსნა. ფილიპოვი ვაგონს ქვეშ მოჰყვა და მარჯვენა ხელი მოსწყვიტა.

◆ ბაქოს სადგურზე, 19 აპრილს, დილის 8 საათზე, ორთქლმავალის ქვეშ მოჰყვა რკინის გზის ლიანდაგის მომუშავე ნევტალე სადიხ-ოღლი და მარჯვენა ფეხი მოსწყვიტა.

◆ სად. ბაქოდან გვწერენ: 17 აპრილს, ღამის 11 საათზე, მე-796 ვერსზე საყარაულოს დაეცნენ ბოროტ-განმზრახველნი. ერთი მათგანი რკინის გზის ლიანდაგის დარაჯმა თოფით მოჰკლა იმ დროს, როდესაც ბოროტ-განმზრახველნი საყარაულოში ფანჯრიდან გადადიოდნენ. ჟანდარმთა როტმისტრი აცნობებს ბაქოს გუბერნატორს, რომ ერთი თვის განმავლობაში ხუთი შემთხვევა ყოფილა რკინის გზის ლიანდაგის დარაჯებზე თავდასხმისა და სთხოვს, რომ ლიანდაგის დარაჯებს თოფები დაურიგდეს.

# პროვინცია

**დ. საჩხერე.** ვერაფერი სასიამოვნო დღესასწაულები გვქონდა ქრისტეს აღდგომიდან მოყოლებული ამ ახალ კვირემდის (კვირაცხოვლობამდე). ამ კვირაში დაბა საჩხერის მიდამო სოფლებში იციან დღესასწაულები. ამ დღესასწაულებს ესწრება მრავალი საზოგადოება და ხშირად ჩხუბი და კაცის კვლა ხდება. წელსაც ს. დურევში შარა გზაზე იპოვეს მკვდარი მ. მჟავანაძე, ს. კორბოულის მცხოვრები. ეს ერთი, მეორე—გორისელი ტეფნაძე მოვიდა სახლში მძიმედ დაშავებული და მხოლოდ იმის თქმა მოასწრო, რომ იგი მოჰკლა პეპო შეულაშვილმა. შემდეგ ენა ჩაუვარდა და დილამდის ძლივს იცოცხლა. შეულაშვილს (მკვლელს), როგორც ამბობენ, წინანდელი ჯავრი ჰქონია ტეფნაძისა და შურის საძიებლად სწორეთ ისეთი დრო და შემთხვევა მოუნახავს, როგორიც ესურვებოდა. მჟავანაძესა და ტეფნაძეს ისეთ ადგილას გადაეღობა წინ შეულაშვილი, სადაც მხოლოდ ეს ორნი იყვნენ, და პირდაპირ ხანჯლით შეუტია ტეფნაძეს, რომელმაც ცოტა შეამავლური დახმარება აღმოუჩინა მჟავანაძეს. ამ ხელჩართულ ომს თავზე წამოსწრებია ს. ცხამში მცხოვრები გლეხი, რომელსაც მუხლ მოდრეკით უთხოვნია, ჩემს ჭალარას ეცით ცატივი და ნუ ჰკლავ კაცებსაო. მაგრამ მას არ გაუგონია და თავისი საწადელი შეუსრულებია. მკვლელი შეპყრობილია. მჟავანაძეს და ტეფნაძეს დარჩათ წვრილი ცოლშვილი ღვთის ანაბარათ.

ამავე დღეს, ე. ი. აღდგომის მესამე დღეს, ჭალუათის ეკკლესის გალავანში, თემში, ს. ლიჩის მცხოვრებთ, რომელნიც ძალაზე დამთვრალნი ყოფილან, ჩხუბი მოსვლიათ და ჩხუბის დროს დაჭრილა შვიდი კაცი, რომელთაგან სასიკვდილო ჭრილობები აქვს ოთხს კაცს.

ხუთშაბათს ს. ითხვისში, სადაც უდერძობა, იგივე ელიობა, იციან, კიდევ სიმთვრალისა გამო მსუბუქათ დაიჭრა წერეთელი. ამავე კვირაში, პარასკევს, შუადღეზე, საშინელი უბედურება დატრიალდა დარკვეთში. გლ. ზ. გ. მისი შვილი და ძმის წული, ვაჟკაცი ბიჭები, მიწას ეზიდებოდნენ პლატფორმის გასასწორებლად. უეცრად მოირღვა მაღლიდან კლდე და ქვეშ მოიტანა ახალგაზდა მუშები, რომელთან ერთი უკვე გარდაცვლილი იპოვეს მიწაში, ხოლო მეორეს სული კი ამოუვა, მაგრამ ისეთი დაშავებულია, რომ მორჩენა ღმერთზე ჰკიდია. თითონ ზ. გ-ს მოუსწრო დაუდლილ ხარის ამოვარება, მაგრამ იმასაც ძალიან დაშავებული აქვს თურმე მარჯვენა ფეხი თეძოს ქვევით.

აქაური.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადო იმ პირთ, რომელთაც ჩემს თხოვნას ყურადღება მიაქციეს და ჩემდამო რწმუნებულს ვახანის სამინისტრო სკოლას ფულით შემწეობა აღმოუჩინეს: შორაპნის მაზრის უფროსის თანაშემწემ ბ. კოკუშვილმა 5 მანეთი და 50 კაპ., №-მა 3 მან., მიხეილ არჯევანიძემ 2 მან. და 50-კაპ., ელეფთერ ღვალაძემ 2 მან., კირილე კელენჯერიძემ და მინა არმვაძემ თითო მანეთი.,

მასწავლებელი **ზ. არჯევანიძე**

| | |
|---|---|
| რედაქტორი | გამომცემელი |
| **ალ. ჭყონია.** | **ალ. ჯაბადარი.** |

# გამოსადეგი ცნობანი

**პეტერბურგის ბირჟა 13 აპრილს.**

**ვექსელის კურსი 3 თვით**

| | |
|---|---|
| ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში | 93,75 |
| ბერლინზე 100 მარკაში | 45,90 |
| პარიზზე 100 ფრანკში | 37,32½ |
| ლონდონზე ჩეკები | 94,60 |
| ბერლინზე „ | 46,30 |
| პარიზზე „ | 37,62½ |
| ბირჟის დისკონტი | 5¾,—7% |

| | მყიდვ. | გამყ. | გაყიდ. |
|---|---|---|---|
| | მ | ა ნ ე | თ ი.8 |
| 4% სახელმწიფო რენტა | — | — | 96½ |
| 4½% შინაგანი სესხი 1893 წ. | 100 | — | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა | — | 96 | — |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | — | — | 357½ |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 289 | — | — |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | — | — | 220½ |
| 3½% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა | — | — | |
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ | 92½ | — | |
| 4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა | 86½ | [illegible] | |
| ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის 6% გირ. ფურცლ | — | — | |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | 93 | — | |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. | — | 93 | |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | 84¼ | — | |

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლების

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

სწრაფი მატარებელი № 2 ტფილისიდან ...ქოში გადის კვირაში ერთხელ—ოთხშაბათს დილის 7 ს. 56 წ. (8 ს. 54 წ.), ... ჩადის საღამოს 9 ს. (9 ს. 58 წ.).

სწრაფი მატარებელი № 1 ბაქოდან ტფილისში გადის დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 ...) ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 12 ... ს. 10 წ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ...ლისში გადის ღამის 11 ს. 15 წ. (12 ... წ.). ტფილისში ჩამოდის ნაშუადღევის 5 ... 35 წ. (6 საათ. 33 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმ... დის საღამოს 6 საათ. 30 წ. (7 ს. 28 ...) ბათუმში ჩადის დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 ...).

მგზავრთა მატარებელი № 5 ბაქოდან ...ლისში გადის ნაშუადღევის 3 ს. 5 წ. (... 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 8 ს. ... (9 ს. 21 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათ... გადის დილის 9 ს. 3 წ. (10 ს. 1 წ.), ...ში ჩადის საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. ...).

მგზავრთა მატარებელი № 6 ბათუ... ტფილისში გადის დილის 8 ს. 56 წ. ... 54 წ.), ტფილისში ჩადის საღამოს 8 ს. ... (9 ს. 40 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბ... გადის საღამოს 9 ს. 22 წ. (10 ს. 2...) ბაქოში ჩადის შუადღის 1 ს. 25 წ. (2 ს. ...).

საფოსტო მატარებელი № 4 ბათ... (11 ს. 45 წ.), ტფილისში ჩადის დილის ... 18 წ. (12 ს. 16 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბ... გადის შუადღის 12 ს. 36 წ. (1 ს 34 ...) ბაქოში ჩადის დილის 7 ს. (7 ს. 58 წ...).

## საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო ... ხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი ... თო ოთახში—12 მან. თვ., ცალკე ოთ... 60 მან. თვეში.

ქალაქის საავადმყოფო. მუხრანის ქუ... ლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ... თვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სა... ლოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილე... ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტ... როვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

... კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი ... ქუმოვისა, ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა ვორონცოვის ქუჩა, ელიგაროვისა, ექიმი ტერ-ასატუროვი.

...ვლების სამკურნალო, ელისაბე... სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასო... ვენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავა... თა ვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ... ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვ... ში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის ... მყოფი იმყოფება ავლაბარში, პეტრ... ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ... —ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ... მანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვი... საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიან...

ქალაქის უფასო დამე თავ-შესაფარი ს...

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწი... ლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტ...



სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ ამხ—ბისა, ვანქის დიდი ქუჩა № 27.